ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ

(2016 წლის მეოთხე კვარტალი)

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსი ტარდება ეტაპობრივად:

1. 2016 წლის 6 ოქტომბერს გამოცხადდა კონკურსი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე;

2. 2016 წლის 18 ოქტომბერს გამოცხადდა კონკურსი საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზების განყოფილების მთავარი სპეციალისტის და იურიდიული სამმართველოს სასამართლოებთან ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობებზე;

3. 2016 წლის 17 ნოემბერს გამოცხადდა კონკურსი საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს გზების ექსპლუატაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტის, საავტომობილო გზების განვითარების და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამმართველოს გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობებზე;

კონკურსის შედეგების მიხედვით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა გერონტი სილაგაძე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დაინიშნა გივი ჩოჩია, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზების განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დაინიშნა მარიამ საჯაია, იურიდიული სამმართველოს სასამართლოებთან ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე დაინიშნა თამარ ხომასურიძე,საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს გზების ექსპლუატაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე მალხაზ მირველაშვილი, საავტომობილო გზების განვითარების და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამმართველოს გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დაინიშნა ბაქარ ბაბუხადია.